ნატო ფიცხელაური, ნინო ჩიხლაძე

დემენციასთან დაკავშირებული ეთიკური გამოწვევები საქართველოში

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
მედიცინის ფაკულტეტი, თბილისი, საქართველო

Doi: https://doi.org/10.52340/jecm.2024.06.14

NATO PITSKHELAURI, NINO CHIKHLADZE

Dementia related Ethical Challenges in Georgia

Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Faculty of Medicine, Tbilisi, Georgia

SUMMARY

This article addresses dementia-related ethical issues from different perspectives: patient, caregiver, healthcare system medical professionals, and society. Dementia leads to cognitive decline, reducing decision-making autonomy and necessitating surrogate decision-makers for care. Ethical challenges arise in balancing autonomy, dignity, safety, injury risks, and independence. In Georgia, family members, especially women, often play a significant role in both medical care and daily activities, making this balance is particularly challenging. Addressing ethical challenges requires raising public awareness, strengthening the healthcare system, training medical professionals, and providing support and education for caregivers. Because the institutionalization of ethics remains a weak aspect of the healthcare system, the role of existing clinical ethics committees should be expanded to facilitate ethical decision-making for patients with dementia. These efforts are essential for fostering dignity, autonomy, and the overall quality of life, health and well-being of patients with dementia in Georgia.

Acknowledgement. The work reported in this publication was funded by the NIH-Fogarty International Trauma Training Program at the University of Iowa (2D43TW007261-11). The authors gratefully acknowledge all members of the iCREATE for their work on the project overall and for the contributions of project documentation used in this manuscript.

Keywords: Dementia, Ethical Challenges, Georgia

დემენციასთან დაკავშირებული ეთიკური ასპექტები მეტად მრავალფეროვანი და კომპლექსურია (NCB, 2009; Post SG. et al., 2000). დემენცია წარმოადგენს თავის ტვინის დაზიანებით გამოწვეულ პროგრესირებად სინდრომს, რომელსაც ახასიათებს მთელი რიგი კოგნიტური ცვლილებები (დემენცია-დაავადებათა მართვის კლინიკური გზამკვლევი. 2024, გვ.3), მათ შორის: მეხსიერების დაქვეითება, ვიზუალური და სივრცითი აღქმის პრობლემები, მსჯელობის, პრობლემის გადაჭრის და კომუნიკაციის პრობლემები, მოძრაობის ცუდი კოორდინაცია და კონტროლი, დაბნეულობა და დეზორიენტაცია (WHO, 2021). დაავადების პროგრესირებასთან ერთად მცირდება შემეცნების უნარი, რთულდება დამოუკიდებლად გადაწყვეტილების მიღების უნარი და აუცილებელი ხდება მზრუნველის და სუროგატული გადაწყვეტილების მიმღები პირის მონაწილეობა დემენციის მქონე პირის ყოველდღიურ საქმიანობაში.

პაციენტთა უფლებების შესახებ საქართველოს კანონის თანახმად, პაციენტისთვის, რომელსაც არ აქვს გაცნობიერებული გადაწყვეტილების მიღების უნარი, სუროგატული გადაწყვეტილების მიმღები არის პაციენტის ნათესავი ან კანონიერი წარმომადგენელი. საქართველოში, სადაც ოჯახური ტრადიციები და მორალური პასუხისმგებლობა დიდ როლს თამაშობს, სუროგატული გადაწყვეტილების მიმღები, როგორც წესი ოჯახის წევრები, უპირატესად ქალები არიან, რომლებიც ამასთანავე ყოველდღიურად ზრუნავენ დემენციის მქონე პაციენტზე.

დემენციის მქონე პიროვნებისთვის ეთიკური დილემა წარმოიქმნება ჯანმრთელობასთან, ცხოვრების სტილთან, ზრუნვასთან, მკურნალობასთან ან მკურნალობაზე უარის თქმასთან დაკავშირებულ საკითხებზე გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, როდესაც გათვალიწინებული უნდა იყოს ავტონომიის პრინციპი, თუმცა პიროვნებას აქვს შეზღუდული გადაწყვეტილების მიღების

უნარი (Chiong W, et al; 2021; Mazer B. 2015). დემენციის მქონე პიროვნების ღირსების პატივისცემა გულისხმობს არა მხოლოდ მისი უფლებების დაცვას, არამედ დამოუკიდებლობის უზრუნველყოფას მინიმალური შეზღუდვით და ყოველდღიური ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებას. დემენციის მქონე პიროვნებისთვის მნიშვნელოვანია ისეთი გარემოს შექმნა, სადაც ის შეძლებს შეინარჩუნოს საკუთარი იდენტობა და თუნდაც ნაწილობრივ მონაწილეობა მიიღოს გადაწყვეტილებებში, რომლებიც პირადად მას ეხება.

დემენცია ართულებს პიროვნების ავტონომიის და უსაფრთხოების დაცვის მოთხოვნას შორის ბალანსის დაცვას. ეს დილემა წარმოიქმნება ისეთი გადაწყვეტილების მიღების დროს, რომელიც ეხება სხვადასხვა აქტივობებზე გარკვეული შეზღუდვების დაწესებას დემენციის მქონე პირის უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის (მაგალითად, კიბეებზე ჩასვლის აკრძალვა ვარდნის და ტრავმული დაზიანებების თავიდან აცილების მიზნით, ავტომანქანის მართვის აკრძალვა და დამოუკიდებელი მობილობის შეზღუდვა საგზაო უსაფრთხოების რისკების თავიდან აცილების მიზნით). პაციენტზე კონტროლის მკაცრი ზომების დაწესება შეიძლება წინააღმდეგობაში მოვიდეს პიროვნების ღირსებასთან, ხოლო სრული ავტონომიის აღიარებამ შესაძლოა გაზარდოს ტრავმის რისკი.

დემენციის მქონე პაციენტისგან ინფორმირებული თანხმობის მიღება გართულებულია, ან პრაქტიკულად შეუძლებელია, რადგან კოგნიტური უნარების ცვლილებების შედეგად პაციენტი ვერ აღიქვამს მიწოდებულ ინფორმაციას და შესაბამისად, მას არ შეუძლია თავისუფალი გადაწყვეტილების მიღება. აღნიშნული ეთიკური დილემა ზღუდავს პაციენტის შესაძლებლობას განაცხადოს სრულფასოვანი თანხმობა კლინიკურ კვლევებში მონაწილეობაზე.

ეთიკური კონფლიქტი შესაძლებელია წარმოიქმნას მზრუნველის დონეზე, როდესაც სუროგატული გადაწყვეტილების მიმღებმა პირმა ოჯახის წევრის მაგივრად უნდა მიიღოს გადაწყვეტილება, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც დემენციის მქონე პირის განზრახვა და სურვილი უცნობია ან მოდის წინააღმდეგობაში ოჯახის წევრების მოლოდინთან (Hughes JC., 2002). ეთიკური დილემები თავს იჩენს უშუალოდ მზრუნველის პერსპექტივიდანაც, რადგან კონფლიქტი შეიძლება წარმოიქმნას დემენციის მქონე პირის მოვლასთან დაკავშირებულ საჭიროებებს, მხარდაჭერის სურვილს, პასუხისმგებლობის გრძნობასა და მზრუნველისთვის უდიდეს ემოციურ, ფიზიკურ და ფინანსურ ტვირთს შორის (AER, 2015; NICE guideline, 2018). ზრუნვის პროცესში გარკვეულწილად იზღუდება მზრუნველის ავტონომიაც, რადგან მზრუნველი უპირატესობას ანიჭებს მის მიერ ახლობელი ადამიანის მიმართ ზრუნვას საკუთარ კეთილდღეობასთან შედარებით.

საზოგადოების დონეზე დემენციის მქონე პირები ხშირად განიცდიან სტიგმას, რაც მათ დისკრიმინაციას იწვევს. ეთიკური საკითხები უკავშირდება საზოგადოებაში დემენციის მქონე პირების მიმართ დამოკიდებულებას და ამ დამოკიდებულების გავლენას ცხოვრების ხარისხზე.

ჯანდაცვის სისტემის დონეზე წარმოქმნილი ეთიკური საკითხები უკავშირდება დემენციის მქონე პაციენტებისთვის სამედიცინო მომსახურებაზე თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას მთელი ქვეყნის მასშტაბით. მნიშვნელოვანია, რომ სამედიცინო პერსონალი სათანადოდ იყოს მომზადებულები ეთიკის ისეთ საკვანძო საკითხებთან მიმართებაში, როგორიცაა: კომუნიკაცია კოგნიტური დარღვევების მქონე პაციენტებთან, დემენციის მქონე პაციენტების ავტონომიის და ღირსების პატივისცემა, ინფორმირებული თანხმობა.

საქართველოში დემენციასთან დაკავშირებული ეთიკური გამოწვევების დაძლევა მოითხოვს მრავალფაქტორულ მიდგომას. პრიორიტეტული უნდა გახდეს სახელმწიფოსა და საზოგადოების მხრიდან ინიციატივების განხორციელება, რომლებიც მიმართული იქნება დემენციის მქონე პირების უფლებების, ღირსების, უსაფრთხოების დაცვისა და ავტონომიის ბალანსის შენარჩუნებისაკენ. მნიშვნელოვანია დემენციის შესახებ ცნობადობის ამაღლება და

საზოგადოების განათლება, რათა დემენციის მქონე პირებს საზოგადოების მხრიდან ჰქონდეთ მეტი მხარდაჭერა და თანაგრძნობა.

ჯანდაცვის სისტემების გაძლიერება საკვანძო საკითხია დემენციის მქონე პაციენტების სამედიცინო ზრუნვის ხარისხის გასაუმჯობესებლად. პრიორიტეტული უნდა გახდეს სამედიცინო პერსონალის (ექიმების, ექთნების) სათანადო მომზადება ყოველდღიურ პრაქტიკაში არსებული ეთიკური დილემების გადასაჭრელად. მნიშვნელოვანია ასევე ისეთი პროგრამების შემუშავება, რომლებიც უზრუნველყოფენ დემენციის მქონე პაციენტების სისტემურ ინსტიტუციურ მხარდაჭერას.

ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის საქართველოს ოფისის ხელშეწყობით შემუშავდა დემენციის გზამკვლევი, რომელიც მეტად ღირებული დოკუმენტია, რომელშიც წარმოდგენილი რეკომენდაციები ეხება არა მხოლოდ დემენციის მართვის კლინიკურ ასპექტებს, არამედ ზრუნვის პრინციპებს, მზრუნველთა მხარდაჭერას, დემენციის მქონე პირების ჩართვას მათი ზრუნვის შესახებ გადაწყვეტილებაში, ჩარევებს კოგნიციის, დამოუკიდებლობისა და კეთილდღეობის ხელშეწყობისთვის, კადრების მომზადებას და განათლებას. მნიშვნელოვანია, რომ რეკომენდაციები დემენციის მქონე პაციენტების ზრუნვასთან და მკურნალობასთან დაკავშირებულ ეთიკურ დილემებზე ანალოგიურად შემუშავდეს ეროვნულ დონეზე.

ქვეყანაში ბიოეთიკაში უმაღლესი განათლების მქონე სპეციალისტების დეფიციტიდან გამომდინარე მოცემულ ეტაპზე შესაძლებელია არსებული კლინიკური ეთიკის კომიტეტების რესურსების გამოყენება და მათი ჩართულობის გაძლიერება დემენციასთან დაკავშირებული ეთიკური დილემების გადაჭრის ფასილიტაციისთვის, ამ საკითხებზე სამედიცინო პერსონალის (ექიმები, ექთნები) გადამზადებისთვის და სპეციალური გაიდლაინების შემუშავებისათვის. ეთიკური პრინციპების დაცვით დემენციის მართვა უზრუნველყოფს დემენციის მქონე პაციენტების ღირსების, ავტონომიის, ცხოვრების ხარისხის, ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Alzheimer Europe Report (AER). Ethical dilemmas faced by health and social care professionals providing dementia care in care homes and hospital settings: a guide for use in the context of ongoing professional care training. 2015.
2. Chiong W, et al; Ethics, Law, and Humanities Committee. Ethical Considerations in Dementia Diagnosis and Care: AAN Position Statement. Neurology. 2021 Jul 13;97(2):80-89.
3. Dementia: assessment, management and support for people living with dementia and their carers. NICE guideline. Published: 20 June 2018. Available from: https://www.nice.org.uk/guidance/ng97
4. Hughes JC, Hope T, Savulescu J, Ziebland S. Carers, ethics and dementia: a survey and review of the literature. Int J Geriatr Psychiatry. 2002 Jan;17(1):35-40.
5. Mazer B, at al. Ethics of Clinical Decision-Making for Older Drivers: Reporting Health-Related Driving Risk. Can J Aging. 2016 Jun;35 Suppl 1:69-80.
6. Nuffield Council of Bioethics (NCB). Dementia: Ethical Issues. A guide to the report. 2009.
7. Post SG. Key issues in the ethics of dementia care. Neurol Clin. 2000 Nov;18(4):1011-22.
8. WHO. Global status report on the public health response to dementia. WHO, 2021.
9. ნ.ზავრადაშვილი, ე.ჭყონია, ნ.მახაშვილი. დემენცია - დაავადებათა მართვის კლინიკური გზამკვლევი. 2024.

ნატო ფიცხელაური, ნინო ჩიხლაძე

დემენციასთან დაკავშირებული ეთიკური გამოწვევები საქართველოში

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
მედიცინის ფაკულტეტი, თბილისი, საქართველო

რეზიუმე

სტატიაში დემენციასთან დაკავშირებული ეთიკური გამოწვევები განხილულია სხვადასხვა პერსპექტივიდან: დემენციის მქონე პაციენტი, მზრუნველი, ჯანდაცვის სისტემა და სამედიცინო პერსონალი და საზოგადოება. დემენცია იწვევს კოგნიტური უნარების დაქვეითებას, რაც ამცირებს გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად მიღების შესაძლებლობას და საჭიროებს სუროგატულ გადაწყვეტილებაზე პასუხისმგებელ პირს. ეთიკური გამოწვევები უკავშირდება ავტონომიის, ღირსების, უსაფრთხოების, ტრავმის რისკების და დამოუკიდებლობის ბალანსის დაცვას. საქართველოში ოჯახის წევრებისათვის, რომლებიც მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ყოველდღიური ზრუნვის პროცესში, ამ ბალანსის შენარჩუნება ხშირად რთულია. დემენციასთან დაკავშირებული გამოწვევების დაძლევა მოითხოვს საზოგადოებაში დემენციის შესახებ ცნობადობის ამაღლებას, ჯანდაცვის სისტემის გაძლიერებას, სამედიცინო პერსონალის გადამზადებას, მზრუნველთა მხარდაჭერას და განათლებას. ეთიკის ინსტიტუციონალიზაცია ჯერ კიდევ სუსტი რგოლია ჯანდაცვის სისტემაში, ამიტომ შესაძლებელია არსებული კლინიკური ეთიკის კომიტეტების როლის გაძლიერება საგანმანათლებლო საქმიანობისათვის. დასახელებული ძალისხმევები პრიორიტეტული უნდა გახდეს საქართველოში დემენციის მქონე პაციენტების ღირსების, ავტონომიის, ცხოვრების ხარისხის, ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფისათვის.